

# მეგობრობა

საქართველს ერევნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანო.

რედაქტორი რ. გაბაშვილი.

Rédacteur : R. GABACHVILI.

№ 1.

1926 წ. სექტემბრის თვე.

ფასი 2 ფრანკი.

პარიზი.

Le «PATRIOTE»

№ 1.

1926 — Septembre.

Prix 2 fr.

P A R I S.



## ნ ა გ ა დ ი გ ზ ი თ.

გაზეთი «მამულიშვილი» გაგრძელებდა იმ გაზეთებისა, რომლებიც საქართველოში გამოდიოდნენ, იკრებდნენ გარს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ანვითარებდნენ მის მიმართულებას და ამგვარდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აზრს. მდიდს ექვსი წელიწადი და პარტიას გაზეთი აღარ ჰქონია. ეს არა ნიშნავს იმას, რომ გაზეთთან ერთად მოისპო თვით პარტია და მისი დიდი როლი საქართველოს ცხოვრებაში. პირიქით, 1921 წლიდან, პარტია უფრო გაიზარდა და მისი მნიშვნელობა გადიდა. გაიზარდა მოთხოვნილებაც გაზეთის არსებობისა და მხოლოდ ცუდი პოლიტიკური პირობები იქ, საქართველოში, სადაც თავისუფალი პრესა აკრძალულია და მძიმე ნივთიერი გარემოებანი, აქ, ემიგრაციაში, აიძულებდა პარტიას დროებით თავისი ბეჭდვითი ორგანო არ ჰქონოდა. დღეს ჩვენი გაზეთი ისევ იწყებს გამოსვლას. ის გამოდის მძიმე პირობებში, როცა საქართველო დაპყრობილია გარეშე ძალისაგან და თითონ პარტია, ნაბრძოლები და დაფლეთილის გულით, დაყენებულია კანონგარეშე. მაგრამ მით უფრო დიდაა მისი მნიშვნელობა პარტიისათვის, მით უფრო დიდი იქნება მისი როლი იმ ბრძოლაში, რომელსაც ეწევა ქართველი ხალხი, უცხო ძალის თავისი ქვეყნიდან გასარეკად და საქუთარი დამოუკიდებლობის აღსადგენათ.

გაზეთი გამოდის იმავე მისწრაფებით აღჭურვილი, რომელიც ასულდგმულებდა აქამდე პარტიას და იმავე ლოზუნგით, რომელიც დაედვა საფუძვლად ქართველი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის უკანასკნელი წლების განმავლობაში. დამოუკიდებლობა საქართველოსი და გაერთიანება ყველა ეროვნული ძალებისა მის მოსაზრებლად. აი ეს ლოზუნგი!

ამ ლოზუნგს იზიარებს პარტია და ამის გამოხატველი იქნება გაზეთიც. ბრძოლა ყველა ეროვნული ძალებისა, მთლიანი ფრონტით, გაერთიანება ერთი ეროვნული იდეალის—დამოუკიდებლობის—გარშემო, არ არის ლოზუნგი მარტო ტაქტიკური, ან ტენიკური. ის არის უდიდესი პროგრესი ქართული საზოგადოებრივი აზრისა, რომელიც გუშინ, სულ ათიოდე წლის წინად, დაქუცმაცებული იყო და ჩათრეული ერთურთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა პარტია ქართულ აზრს მაშინაც და ის ვერ იტყვის მაზედ უარს დღეს, როცა ცხოვრების აუცილებლობა ეროვნული მთლიანობის აზრი მათთვისაც სავალდებულო გახადა, ვინც აქამდე კლასიურ ნიადაგზე იდგა და სამოქალაქო ომს მიუძღოდა წინ. მნიშვნელობა პარტიათა გაერთიანებისა მტერთან ბრძოლის პრო-

ცესში იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ერთიანდებიან პარტიათა კენწეროები, ან არ ერთიანდებიან პარტიათა ცალკე ავტორიტეტი და მალაქალიფიციური პარტიული ფანტიკოსები. უდიდესი მნიშვნელობა მთლიანი ფრონტისა ის არის, რომ ამ პარტიათა კენწეროების და მის შეურიგებელ ფანტიკოსების იქით სდგას უბრალო პარტიული მასა და მთელი ქართველი ხალხი. სადაც ეს გაერთიანება უდიდეს შედეგებს აღწევს. აქა ხდება ნამდვილი გაჯანსაღება ქართული აზრისა და მუშავდება შეგნება იმისა, რომ არსებობს მთლიანი საქართველო, რომელიც მალა სდგას ცალკე პარტიებზედა და პროგრამებზედა. ვინც ამ ახალ მოვლენას ვერ ხედავს, ვისაც ამ ახალი გარემოების მნიშვნელობა არ ესმის, მას არ ესმის უმთავრესი ცვლილება, მომხდარი ქართველ ხალხის სულში და ჩვენ საერთო საქმეს ის ვერც ბელადად გამოადგება, ვერც მიმდევრად. ამას ვამბობთ იმიტომ, რომ როგორც სხვა პარტიებში, ისე ჩვენს პარტიაშიც არიან სეპარატი-სტული მოქმედების მომხრენი, რომლებიც არ-ღვევენ მთლიან პოლიტიკურ ფრონტს. სოიშავენ ქართველი ხალხის გამთლიანებულ შეგნებას და პირიქით ისევ სამოქალაქო ომისკენ მოგვიწოდებენ.

ცალკე პირების ასეთ წინდაუხედავ აზრს პარტია ვერ გაიზიარებს. მთლიანი ფრონტის მნიშვნელობა ეროვნულია და რაც უნდა ცუდად ხორციელდებოდეს იგი, ჩვენ ვერ შევცვლით მას უფრო მდარე და არა ეროვნული აზრით—სეპარატიული მოქმედებით ცალკე პარტიებისა. მოყოლებული 1921 წლიდან ჩვენი პარტია იყო, რომელიც ასე თავგამოდებით იცავდა მთლიანი ფრონტის აზრს და ჩვენ დაგვიჭირდა დიდი ჯაფა დაგვეყოლებინა სხვა პარტიები დათმობაზედ, რომელიც აუცილებელი იყო, რომ მთლიანი ფრონტი შემდგარიყო. მას აქეთ ექვსმა წელმა განვლო. მტერი, რომლის გასარეკადაც ჩვენი კოალიცია შესდგა, ისევ საქართველოშია. მაგრამ ჩვენა გყვანან «პატრიოტები», რომლებიც ლაშქარსა შლიან, თურმე ერთად ყოფნა საქირა აღარა ყოფილა! ამას ქართველი ხალხი ვერ გაიზიარებს. ვერ გაიზიარებს მას ჩვენი პარტიის შეგნებული ნაწილიც. ამიტომ ჩვენი ვფიქრობთ, რომ პარტია ძველებურად მთლიანი ფრონტის ნიადაგზედა სდგას და საქართველოსაც აქეთკენ ეძახის!

## ე რ ე ვ ნ უ ლ ი ო რ ე ნ ტ ი.

ძალა—ერთობაშია, ნათქვამია. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც არა სჭირია განმარტება. მაინც დიდი შეცდომა იქნება, თუ არ გავუწევთ ანგარიშს იმ სულიერ განწყობილებას, რომელიც ბევრს გამოჰყვია ჩვენი თავისუფლების დღეებიდან და დღესაც ატარებენ მას, თუმცა ბევრი რამ გამოიცვალა ჩვენს ირგვლივ.

თავისუფალ საქართველოში პოლიტიკური

პარტიები ებრძოდნენ ერთმანეთს და ეს ბრძოლა სრულებით ბუნებრივი იყო, ვინაიდან თვით ქართველი ერი იყო თავისუფალი. მაშინ ბრძოლის საგანი იყო პროგრამული საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყო თავისუფალი ერის ცხოვრება. ესლა კი ცხოვრებამ წინ დაგვიყენა სულ სხვა პრობლემა. ჩვენ დავკარგეთ ეროვნული თავისუფლება. ესლა ბრძოლის საგანი— არა შინაური ცხოვრების მოწყობა, არამედ აღდგენა დაკარგული თავისუფლებისა, დაბრუნება ერის სუვერენობისა. ამ დიადი მიზნის წინ უნდა ჰქრებოდეს პარტიული შუღლი და უთანხმოება. დოქტრინალური შეურიგებლობა შეუწყნარებელი და სასირცხვილოა. ერთობა საქირა და სავალდებულოც.

ეს აზრი მარტივია და ნათელი. მაინც ყოველი ექვის და გაუგებრობის გასაფანტავად საქიროდ მიგვანჩია აღვნიშნოთ აქ, თუ რა აზრი აქვს და რა გამართლება ეროვნული ფრონტის განმტკიცებას.

## ე რ ე ვ ნ უ ლ ი ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ა.

1919 წლის თებერვალში საქართველოში მოხდა საყოველთაო არჩევნები. მთელს საქართველოს მიეცა სრული შესაძლებლობა პირდაპირი ხმის მიცემით გამოეთქვა თავისი ნებისყოფა ისეთი დიდი საკითხის შესახებ, როგორიც იყო საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება. ეს გამოცხადება მოხდა 26 მაისს 1918 წ. ეს ისტორიული აქტი ყველას თვალწინ ედგა არჩევნების დროს. მეგრე რა პასუხი გასცა ერმა ამ აქტს? აირჩია მან ერთი წარმომადგენელი მაინც, რომელიც ყოფილიყო წინააღმდეგი ამ აქტისა? გაისმა ერთი ხმა მაინც დამფუძნებელ კრებაში ამ აქტის წინააღმდეგ?—არა! ის ერთხმად დამტკიცებულ იქმნა.

ამ ნიადაგზე აღმოცენდა ეროვნული მთავრობა. კარგია თუ ავი ეს მთავრობა, მოგვწონს თუ არა იგი პერსონალურად ან მისი სოციალური კონცეპციის მიხედვით, ეს სულ სხვა საკითხია და ამისთანა საკითხებმა არ უნდა დაჩრდილოს უმთავრესი მისი აზრი და შინაარსი: ის არის ეროვნული და კანონიერი, იგი იბამს ისტორიაში ეროვნულ ცხოვრების განუწყვეტელ ძაფს, და ჩვენ, საქართველოს შვილები, ხელს ვერ ავწევთ ამ ძაფის გასაწყვეტად. პირიქით, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით გავამაგროთ ეს მთავრობა სანამ მან არ გადაუხვია ეროვნული ნებისყოფით აღნიშნულ გზას და სანამ ხელში უჭირავს დამოუკიდებელი საქართველოს დროშა.

## ძ ა ლ ა - უ ფ ლ ე ბ ა.

რუსეთის შემოსევამ და საქართველოს ტერიტორიის დაკავებამ, მართალია, შუა გაფხრიწა იდეა სახელმწიფოებრივი ძალა-უფლებისა. ეროვნულ მთავრობამ დაჰკარგა «ძალა», მაგრამ შერჩა «უფლება», და ამ «უფლებას» მას ვერავინ წაართმევს, ვინაიდან ის ემყარება ეროვნულ კონსტიტუციას და საყოველთაო არჩევნებს.

ის დიდად შემცდარია, ვინცა ჰფიქრობს, ვითომდა «ცარიელ» უფლებას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. არა, იმას აქვს დიდი მნიშვნელობა: საერთაშორისო ცხოვრება როგორც ევროპაში, ისე აზიაში, ჯერ კიდევ პლელავს, ჯერ კიდევ არ ჩამჯდარა მშვიდობიან კალაპოტში და ვერც ჩაჯდება, სანამ ბოლშევიკური რუსეთი ყველას ემუქრება მსოფლიო რევოლუციით. ეჭვი არ არის, დღეს თუ ხვალ, მსოფლიო პოლიტიკის წინაშე ისევე წამოიჭრება საქართველოს საკითხი. აი, ამისთანა მომენტში, იდეა უფლებებისა ნამდვილი ჩირაღდანია: იგი გზას უნათებს პოლიტიკას და აძლევს მას მიმართულებას. დღეს თუ ხვალ, ვამბობ, დადგება ეს მომენტი. ვის უნდა ელაპარაკოს მაშინ ევროპა ან ამერიკა? ვინ უნდა ამოიღოს მაშინ ხმა საქართველოს სახელით? ვისა აქვს ამის უფლება? აი მაშინ ერთად ერთი ჩვენი ხსნა იქნება ჩვენი ეროვნული მთავრობა, რომელიც ვალდებულია დაიცვას ყოველი ღონისძიებით საქართველოს უფლებანი და მოითხოვოს აღდგენა მისი დამოუკიდებლობისა. ეს ერმა მიანდო მას, ეს დაავალა ისტორიამ.

ამიტომ ჩვენ უნდა ვიკრიბებოდეთ ამ მთავრობის ირგვლივ და კი არ შევამციროთ მისი პრესტიჟი და ავტორიტეტი, არამედ განვამტკიცოთ იქაც, სადა მოისუსტება.

პ ა რ ტ ი ე ბ ი.

ვიმეორებ: ჩვენ ვირაზმებით ეროვნული მთავრობის ირგვლივ, და არა ამა თუ იმ პარტიის ირგვლივ.

რაც შეეხება პარტიებს, ისინი შეთანხმდნენ. ეს შეთანხმება არ იყო ადვილი. საჭირო გახდა ოთხი-ხუთი წლის განმარტობა და უცხო ქვეყანაში მწუხარება, რომ ბოლოს ყველას ევროპაში ცილებლობა დაახლოებისა და ერთად მუშაობისა. აჯანყების ქარიზხალმა განაზნა დოქტრინალური ბურჟუაზი და უფრო მშვენიერი, უფრო სავარაუდო გამოჩნდა სამშობლოს სახე, შემკული განწირულების შარავანდელით. პარტიებიც დაუახლოვდნენ ერთმანეთს. დასდეს პირობა მოსკონ, დროებით მაინც, პარტიული შუღლი და განხეთქილება და ერთად, ძმურად და მამულიშვილურად, ემსახურნენ ერთს მიზანს: ეს მიზანია—საქართველოს განთავისუფლება უცხო ქვეყნის ბატონობისაგან.

რა თქმა უნდა, ეროვნული ფრონტი სულაც არ ნიშნავს პარტიათა დაშლას და გაუქმებას. ყველა პარტიას რჩება სრული თავისუფლება თავის მოქმედებაში. ყველას ნება აქვს იქონიოს კონტაქტი ამა თუ იმ უცხო პარტიასთან, დაიჭიროს კავშირი ამა თუ იმ უცხო წრებთან, და ყველგან ეძიოს შველა, მეგობარი, სახსარი თუ დახმარება. აქ ყველამ უნდა გამოიჩინოს მეტი აქტიურობა. მაგრამ არის ერთი პირობა კი: ყველამ უნდა აიღოს ხელი ისეთ მოქმედებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება ეროვნულ ფრონტის მთლიანობას.

ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი.

ყველგან შეიძლება-მეთქი ვეძიოთ დამხმარე და მეგობარი. არის მხოლოდ ერთი გამონაკლისი: უნდა ვერიდოთ ბოლშევიკებს.

ამბობენ, არიან ქართველი ბოლშევიკები, რომელნიც სდგანან საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე და ამიტომ ვითომდა შეიძლება მათთან დაახლოება. ეს შემცდარი აზრია.

მე-4 მუხლი სოვეტიურ რესპუბლიკათა კავშირის კონსტიტუციისა, მართალია, აცხადებს, რომ ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას რჩება უფლება თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდანაო. მაგრამ ეს ცხადი სიცრუეა. ერთი იმიტომ, რომ კონსტიტუციაში არსად ნაჩვენებია არ არის ის ორგანო, რომელმაც უნდა აღქრას ამისთანა საკითხი. თუ უფლება გამოყოფისა არსებობს, არ არსებობს შესაძლებლობა ამ უფლებით სარგებლობისა. შემდეგ იმიტომ, რომ კონსტიტუციაში პირდაპირ აღნიშნულია, რომ ყოველი მნიშვნელოვანი დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკისა უნდა

უსათუოდ გადასინჯულ და დადასტურებულ იქმნას მოსკოვში, და ყოველი მნიშვნელოვანი დეკრეტი მოსკოვისა სავალდებულოა ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის (მუხ. 18—19). აშკარაა, ამისთანა საკონსტიტუციო გარანტიები—გარანტიაა არა რომელიმე რესპუბლიკის გამოყოფისა, არამედ სამუდამოთ მისი ჩასამარებისა რუსეთის ბნელ წიაღში.

ბოლშევიკთან—სულ ერთია, რუსია იგი თუ ქართველი—ყოველად შეუძლებელია მუშაობა. შეუძლებელია იდეურად, უფლებებრივად და პრაქტიკულად. ყოველი მითქმა-მოთქმა ამაზე—ნამდვილი პროვოკაციაა: ამით სცდილობენ გაანელონ ქართული მოძრაობა სახლვარ გარედ და შეიძლება ფულიც მოიგონ.

მუქთად ხომ არ მუშაობენ ჩვენი მოღალატენი?!  
ვიორგი ვვახვა.

ჩ ვ ე ნ ი მ ი შ ნ ე ბ ი.

ერი; მისი სახელმწიფოებრივ ფორმებში განმტკიცება; მისი ათასწლოვან კულტურის გაშლა და მხოლოდ მაზედ დამყნობით თანამედროვე კულტურის შეგუება; მისი სასოფლო, საქალაქო და სამარწყველო მეურნეობის აღორძინება და ინტენსიურად ამუშავება—აი ჩვენი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური საზოგადო პროგრამაა ფართე სახეობად, რომელმაც სორცი უნდა შეისხას, კონკრეტულ ფორმებში ჩამოყალიბდეს; გულსა, გონებასა, ქალაღზედ და თანდათანობით რეალურ ცხოვრებაში აღიბეჭდოს ეტაფებად.

ქართველი—ენა და გონება მახვილი—ერი, ღვიძლი შვილი თავისი რაინდული ისტორიისა, გამრჯველი და ადვილად შემთვისებელი საკაცობრიო უმაღლეს მეცნიერულ, სოციალურ და პოლიტიკურ საშუალებათა და იარაღისა; მდიდარი ბუნებით, ნიადაგით და მიწის გულით, ე. ი. ეკონომიური პოტენციით, ჩვენ ღრმად გვწამს, არასოდეს არ ჩამორჩება სხვა მოწინავე ერებს საკუთარი ეროვნული იდეალების მიღწევაში და სწორად თავის წვლილსაც შეიტანს მსოფლიოს საერთაშორისო საღაროში;—თუ დასცალდა საკუთარი სახის გამოჩენა დღევანდელ ობიექტიურ პირობებში და ეყო ნებისყოფა ამ პირობათა დასარღვევად და დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ამ მიზნით ყოველმა ქართველმა უნდა ასი თვალი აისხას, ასი ყური გამოიბას, ასი ხელი ამუშაოს ენერგიულად, გაწვრთნას თავისი გონება და ნებისყოფა და არა მარტო იოცნებოს, არამედ მუდამ იფიქროს, იზრუნოს და იბრძოდოს სამშობლოსათვის, რომ ღირსი იყოს მამულიშვილის, პატრიოტის სახელისა. ყოველი ქართველი უნდა ესწრაფვოდეს იმ აზრს რომ სხვაზედ უკეთესი იყოს; ყველა თავის დარგში, ყველა თავის ადგილზედ; მეცნიერებაში, ჯანსაღობაში, მეურნეობასა თუ პოლიტიკაში, საცა ბედი ან ნიჭი მიიყვანდეს; დადებითი რამ შესძინოს ქვეყანას და საქართველოს სახელი აამაღლოს სიტყვით, საქმით. და მაგალითით. ისეთი პატრიოტი იყოს როგორც ერთი პოლონელი მწერალი ამბობდა:

«პოლონელის პატრიოტიზმი ისეთი უნდა იყოს რომ თავისი ცული თვისება და აკვაცობაც კი პოლონეთის სასარგებლოდ მოიხმაროს».

ჩვენი პოლიტიკა აქტიური უნდა იყოს ენლაც და მომაჯალშიც და არა შემცდარი ნეიტრალობა ან ორიენტაცია მხოლოდ მძლავრზედ. ჩვენი აქტივი, როგორც მებრძოლი და კულტურისანი ერის ხრძალი უნდა მიტანილი იყოს შეგნებულად მხოლოდ იქ, საცა განსაკუთრებით ჩვენი ერის ინტერესი მოითხოვს და არა რომელიმე განყენებული დოქტრინა სხვათა მიბადვით თუ საკუთარის თავიდან გამოგონილი.

ჩვენ არ შეგვიძლიან ვიხელმძღვანელოთ მარტო გრძობებით, სიმპატია-ანტიპატიებით, ჩვენ

უნდა ვეძიოთ მომხრენი ცოცხალ ორგანიზმებსა თუ ობიექტიურ პირობებში მიუხედავად იმისათუ რა ისტორიული განწყობილება გვქონია მათთან საქართველოს ძველსა თუ ახალ პერიოდში. ამაღ გვავალდებს უმაღური, ძნელი, მაგრამ უდიდესი პასუხისმგებლობა ერის უმაღლეს და სამარადისო ინტერესების წინაშე. ეს გზა უფრო ძნელია ვიდრე გულის ზრახვათა აყვლევა. ბევრი სცილდება ამ გზას სისუსტით, შეცდომით თუ სიყვარვით, სულმოკლეობით თუ სასოწარკვეთილებით, მაგრამ სახელმწიფოებრივად მოაზროვნეთათვის აშკარაა რომ ეროვნული სასახლის აშენება მგრძობიარეთა ხეხულა არ არის მარტო და როგორც ადამიანი არ კარგავს პიროვნებას, თუ ფრჩხილი მოიჭრა ან მოიცვალა კიდევ, ისე ერის სული, პიროვნება და მთლიანობა ვერ დაირღვევა თითო-ოროლას გადავარდნით მისი სხეულიდან.

მაგრამ დღეს ნამეტნავად, როცა მტრის მიმეფეხი გულზედა აქვს დაქერილი ჩვენს სამშობლოს, სირცხვილია დავა სამშობლოს მომავალ მოწყობის მეთოდებზედ. დღეს ყველა ჯურის ქართველს საერთო მტერი გვყავს; და არა ჯგუფური არა პარტიული, არა პერსონალური პოლიტიკა უნდა ვაწარმოვოთ, არამედ დავივიწყოთ დროებით ყველაფერი გამოყოფი, გამოიშავი და განვავითაროთ შემეარტებელი, საქართველოს ერთ ლითონად გარდამქცევი უდიდესი მოვალეობის წინაშე—სამშობლოს დახსნისა. უნდა გავავითაროთ ყველა ძალები საერთო და ხანგრძლივი იერიშისათვის, და არა დაქსაქსულობით უწყობდეთ ხელს ვერაგ მოძალადეებს.

ეს არის საერთო ფრონტი და აქეთკენ მოუწოდებთ ყველა თანამემამულეს.

რ. გაბაშვილი.

ჩ ა ტ ა ხ ი ლ ი ხ ი დ ი.

ქართველი ხალხის გათვითცნობიერებისათვის, ცხადია, ამაოდ არ ჩაუვლია იმ საუკუნეს, როდესაც მას სისტემატიურად ართმევდა რუსეთი არა თუ მარტო სახელმწიფოებრივი აზროვნების ძარღვს, არამედ ჰკლავდა მასში იმ ბუნებრივ შეგნებასაც, რომ იგი არის ქართველი ერი.

მაგრამ ერის არსებობის ისტორიულ, სამარადისო კანონს ვერ მოერია რუსის ხალხის ეგოისტური აღტყინება. ქართველი ერის მისია არც მეფე ერეკლეს ტრაქტატით დასრულდა და არც კომუნისტურ ინტერნაციონალის ნიღაბ-აკრული რუსი ბოლშევიკების ოკუპაციით დასრულდება. წინადაც და თანამედროვე ეროვნული ტრადიციის დროსაც ქართველმა ერმა უმაგალითო ცხოველი ძალა გამოიჩინა და მკაფიოდ, წმინდა სისხლით აღბეჭდა თავისი ნებისყოფა დამოუკიდებელი, სახელმწიფოებრივი არსებობისა. 1918 წლის 26 მაისი 1921 წლის თებერვლით არ გათავებულა. შეგნიდან და გარედან გალახულმა, დაუძლურებულმა რუსეთმა მოიხურვა თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი უსახეობა კვლავ ქართველი ერის გათვლით დაეფარა. ეს ცდა პირველი არ არის. ცხადია, არც უკანასკნელად უნდა ჩავთვალოთ. ამიტომ ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის და ჩვენც ამ ბრძოლის პროცესში ვიმყოფებით. ეს შეგნება კი გვავალდებს ვსთქვათ ის, რითაც ყოველი ქართველის სისხლი, ტვინი და ნებისყოფა არის გაქვნილი.

რუსის ერს ჩვენ არ ვენდობით. და აი რატომ:

თუ ერის რომელიმე პოლიტიკური მიმართულება, ან ამ მიმართულებათა საერთო სახე, არის ამ ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ ხაზის გამომხატველი, მაშინ ჩვენთვის დაფარული არ არის რუსის ერის ზრახვანი: პოლიტიკურად, მორალურად თუ ფიზიკურად ურთიერთ სოციალურად დროს, რუსის ხალხის პოლიტიკური პარტიების სიტყვასა და საქმეს ერთი წუთითაც



არ დასტყობია, რომ მათ გამოეცვალათ თავისი შეხედულება საქართველოს მომავალზე.

აი მოკლედ რუსული ფორმულა ქართველი ერის მიმართ: დამწყვედელი მყავდი, მყევხარ და უნდა მყავდეო.

ესლაც ორგანიულ ტვივილებს განვიციდით მონარქისტული რუსეთის მიერ მოყენებულ ჭრილობებისაგან. უფრო მწარე იყო რუსეთის ბურჟუაზიის მიერ მირთმეული მსხვერპლი ქართველი ერისაგან. კინემატოგრაფიული სისწრაფით გავირობინა 1917 წლის თებერვალ-ოქტომბრის ხანამ. აქ უკვე უახლოვდებით რუსულ მასას, მის ორგანიულ ბუნებას და მასის სათავეში მოქცეულ ზომიერ სოციალისტურ მიმართულებათ, ამათი სხნით ხომ რუსის ხალხმა ახდილად დაუმტკიცა ჩაგრულ ერთ, რომ ეს ერები რევოლიუციისაგან არაფერს უნდა მოელოდნენ. «დიდი» რევოლიუციის დროს რუსის დემოკრატიამ ნება არ მისცა ქართველ ხალხს ქართულ ეკლესიაში ქართულად, დედა-ენაზე წირვა-ლოცვისა. აზრი და სისხლი რუსის ერისა: მილიუკოვი, გუჩკოვი, კერენსკი, მარტოვი, პლენანოვი და სხვანი, თვით სუსტნი, სამართველოს ზღრუბლებზე ჯერ რიგიანად ფხეის არ დამდგმენიცი კი, იმ ზომებს კი არ იღებდნენ, რომ ახალი პოლიტიკური რეჟიმი განმტკიცებინათ, არამედ ტყვე ერების ჯაჭვისათვის უფრო მაგარი რკინის ძებნაში დალიეს სული.

აქ იწყება ოქტომბერი და რაც დააკლო ქართველი ერის ჩავრას რუსის მონარქისტმა, პროგრესისტმა, დემოკრატმა თუ სოციალისტმა, ის შეასრულა კომუნისტმა. თებერვლის ვაის აცდენილი ქართველი ერი, ოქტომბრის ვუის საფრთხის წინაშე დადგა. სულ მალე ეს საფრთხეც რეალურ სინამდვილედ იქცა.

მაშასადამე, ქართული პოლიტიკური აზრის ზოგიერთი შტოს იმედი, რომ საქართველოს და მის ეროვნულ-პოლიტიკურსა და სოციალურ ასპარეზს ახალი პერსპექტივები გაეშლებოდა რუსის ხალხში დემოკრატიული და სოციალისტური წესწყობილების დამყარებით, — ძირიანად, შემცდარი გამოდგა. და ეს არის, თუ გნებავთ ერთი დიდი მიწნათაგანი საქართველოს დღევანდელი მდგომარეობისა.

ხოლო ამ შეცდომის შეგნება გვავალებს სრულიად, პატიოსნად და მოკლედ ვსთქვათ:

რუსეთსა და საქართველოს შორის ჩატენილი პიდი აღარ უნდა გამთედდეს.—

ამ აზრის განმტკიცება მომავალ თაობაში ამ ფორმულით გაბედულად გასვლა ქართველ ხალხში, აი ის ერთი მთავარი ძარღვთაგანი, რომელიც შემოიკრებს და მჭიდროდ შეაკავშირებს საქართველოს ეროვნულ მებრძოლ ძალებს, განუზრჩველად პოლიტიკური რწმენისა. წარსული, აწმყო და ქართველი ხალხის მომავალი გადაჭრით გვიკარნახებს განვაცხადოთ, რომ ერთ სახელმწიფო ორგანიზმში მოთავსება ქართველი და რუსის ერისა ვერც ერთსა და ვერც მეორე ერს ვერ წაიყვანს ეროვნულ-კულტურულ განვითარებისა და პროგრესის გზით.

ეს აზრი უნდა შეიგნონ და მას შეურიგდნენ რუსებიც. რადგან რუსეთთან ურთიერთობა შეიძლება იყოს მხოლოდ საერთაშორისო ხასიათისა. როგორც ყველა სხვა დამოუკიდებელ ერებისა.

წინააღმდეგ შემთხვევაში დაწყებული ბრძოლა სამკედრო-სასიცოცხლო ხასიათს მიიღებს.

ამ წმინდა ბრძოლისაკენ მოუწოდებთ ჩვენც მთელს საქართველოს.

რუსეთი კი, რა ფერისაც უნდა იყოს იგი, მწარე, გატანჯული წარსულის მოგონებით და აღინიშნება ქართველი ერის მესხიერებაში.

ი ხანანაშვილი.

ბ ლ შ მ გ ვ ი კ ტ რ ბ ა ნ ა კ შ ი.

თუ სადამდის უწია რუსული კომუნისტური პარტიის რღვევამ, მაშასადამე ბოლშევიზმის ნგრევამ და მაშასადამე «საბჭოთა კავშირის» ნგრევამაც, ცხადათ სხანს შემდეგი ამბავიდანაც:

თავის უკანასკნელ სიტყვაში ოპოზიციის მიმართ, ძერჟინსკიმ სთქვა: მე რომ მცოდნოდა რომ თქვენ ტყვეში ფარული კრება გქონდათ, გამოგვზავნიდი ორ პოლკს ტყვიის-მფრქვეველებით და ყველას გაგვლეტავდით!—ო.

ამაზედ, ოპოზიციის წევრმა, პიატაკოვმა უპასუხა: «ლევჩე ნა პოგოროტას!»

ჩვენ განზრახ არ ვსთარგმნით ამ სიტყვებს, რათა მათ თავისი სტილი არ დაუკარგოთ.

მთელი ძალა ამ დიალოგისა და მისი პოლიტიკური მნიშვნელობა სწორედ ამ ბოლშევიკურ გულწრფელობაში არის. ამ სიტყვების შემდეგ ძერჟინსკი ისე უეცრად მოკვდა, რომ ოპოზიცია გაუქვლტავი დარჩა, მაგრამ დაიწყო სტალინის სრული პარპაში. გაადგეს კამენევი, არაფერს აღარ ნიშნავს ტროცკი და მრავალი სხვა და «მონოლიტური» ლენინის პარტია გლახა ფაიფურის თეფშით დაიმსხვრა. ესლა ლაპარაკობენ, რომ ზივიევი ისევე შეირიგეს და სტალინი ტროცკის «მოყიდვას» აპირებსო. დამსხვრეული თებშის შეკოწიწება, რასაკვირველია, შეიძლება. მაგრამ შეკოწიწება გამთელება არ არის და ოპოზიცია მაინც არსებობს. არის ოპოზიცია მარჯვნივ, არის ოპოზიცია მარჯვნივ, არის ოპოზიცია მარცხნივ. ერთნი პარტიას სამხედრო კომუნისმისკენ ეწევიან, მეორენი «დემოკრატიზმისკენ» მაგრამ პარტიის ცენტრზე იერიშით ორივენი მიდიან და იბადება საკითხი, რას წარმოადგენს ეს ცენტრი და რას ნიშნავს საზოგადოთ ეს ბოლშევიკური დომხალი? მართლა გაუგებრობასთანაა გვაქვს საქმე, თუ ეს არის კანონიერი qui pro quo, რომელსაც ვერ ასცდებოდა ვერც ბოლშევიზმი ვერც რუსეთი?

ამ ამბებში ისტორიის ლოლიკა თავის ადგილზედ არის. ის ერთხელაც არ შემცდარა. შესცდნენ თითონ ბოლშევიკები. მაგრამ ისინი შესცდნენ არა დღეს, არა გუშინ, არამედ იმ დღეს, როდესაც რუსეთში სოციალიზმი «დაამყარეს». ამბები, რომლებმაც დღეს იჩინეს თავი რუსეთში, გვერდით მისდევდნენ რუსეთის ამ გასოციალისტებას და მხოლოდ ბოლშევიკები ვერ ხედავდნენ ამას. დღეს თითონ ეს ამბები ველარ ხედავენ ბოლშევიკებს თავზე ასტებიან მათ და ბოლშევიზმი ამ ამბების ფეხ ქვეშ იქვლება.

გასაგებია რომ ზინოვიევი ისევე სამხედრო კომუნისმისკენ უხმობს პარტიას. ამ შემთხვევაში იგი სახარების ძალსა ჰგავს. გასაგებია ისიც, რომ მედვედევი-ოზვესკის ოპოზიცია «დემოკრატიზმს» და მენშევიზმთან შერიგებას ქადაგებს. რაღას იცავს ცენტრი? და აი. ყველაზედ საინტერესო მოვლენა ამ ბოლშევიკურ ამბებში თვით ეს ცენტრია. კომუნისტური პარტიის ეს ცენტრი თითონ არის ახალი მოვლენა პარტიაში და თუ გნებავთ ოპოზიციაც, რადგანაც აფურთხებს ლენინისმსაც და დემოკრატიზმსაც, მას არც ერთი არა სწამს. რაშია საქმე? ბოლშევიკურ კრუსს ეგონა რომ პროლეტარულ კვერცხზედ იჯდა და მუქიკური წიწილა კი გამოიჩია. მთელი ტრალეღია ბოლშევიზმისა ეს არის. იყო ოქტომბრის «დიდი» რევოლუცია, აშენებდნენ «პირველ» სოციალისტურ სახელმწიფოს ქვეყანაზედ, იყო თვით დიდი ილიჩი და ბოლოს მხოლოდ მუქიკების რესპუბლიკა გამოვიდა. აღარ არის ილიჩი და არის მხოლოდ სრულიად რუსეთის სტაროსტა კალინინი. მოკლედ. ქათამმა იხვები გამოიჩია. ასეთი სოციალისტური მაგალითით, რასაკვირველია, მსოფლიო რევოლუციას ვერ შეჰქმნი. რა ლაჰქმნან ესლა? და სწორედ სტალინი და მისი ცენტრია ის კრუსი, რომელიც ისევე ამ იხვებთან რჩეობს დარჩენას და ებრძვის ზინოვიევის ლენინიზმსაც და სხვების დემოკრატიზმსაც.

სტალინის მთელი ჰქუა მხოლოდ ამაშია. მა-

გრამ რანაირია მისი ბოლო? მისი ბოლო იმ ქათამის ბოლოა, რომელმაც იხვები გამოიჩია. იხვები გაიზრდებიან და ქათამს მიატოვებენ.

ყველაზედ უკეთ ეს ამბავი რუსულმა ემიგრანტულმა პრესამ შეიწვინა და ისეთი ტიპის ემიგრანტებს, როგორც არის, მაგალითად, მილიუკოვი, ასეთი რუსეთის და ასეთი სტალინის წინააღმდეგი ბევრი არაფერი აქვთ.

ჩვენთვის გაცილებით უფრო მეტი ინტერესი აქვს, როგორ უდგებიან რუსული კომუნისტური პარტიის წიაღში მომხდარ ამბებს ქართველი კომუნისტები. ქართული კომუნისტური პარტია არასოდეს არ არსებულა და რაიმე რთული გადაწყვეტილების მიღებას ჩვენც არ ველოდით. ყველა იმ ფაფახი დაიხურა და სტალინის მისაშველებლად მოსკოვს მიაშურა. სტალინის ეპიზოდური დიქტატურის დროს ასეთი საქციელი ჰკვიანურიც არის. სტალინი მათი დიდი კომპარტიოტია. მაგრამ ეს საქციელი არაფერს გვეუბნება, თუ რას იზავენ ქართველი კომუნისტები, იხვები რომ ქათამს მიატოვებენ?

შ. ამირეჯიბი.

რ უ ს გ თ ი და გ ვ რ ლ ბ ა .

(პოლიტიკური მიმოხილვა)

ჩვენ დიდის ყურადღებით ვადვენებთ თვალყურს იმ განწყობილებას, რომელიც შეიქმნა რუსეთისა და ევროპის შორის. ეს აგრეც უნდა იყოს, ვინაიდან საქართველოს ბედი და უბედობა მჭიდროდაა გადაბმული ამ განწყობილებასთან.

რასაკვირველია, მოკლე წერილში ჩვენ საკითხს ვერ ამოვწურავთ, მაგრამ შეიძლება აღვნიშნოთ ზოგიერთი მომენტები, საიდანაც ადვილად გავითვალისწინოთ ზოგადი ხაზი იმ მიმართულებისა, რომელსაც იღებს ევროპის პოლიტიკა.

მთელს ევროპის კულტურას და მის წესწყობილებას ძირითადად ეწინააღმდეგება ესლანდელი რუსეთი, მისი წესწყობილება და იდეოლოგიური კონცეპცია. ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე, ან ბოლშევიზმმა უნდა გაიმარჯვოს და დიპლომატიული ქვეყნიერება, ან ესლანდელმა ცივილიზაციამ უნდა დაიმორჩილოს მოწინააღმდეგე ბნელი ძალები.

მოსკოვი არ მალავს თავის მისწრაფებას, თავის უკანასკნელ მიზანს: უნდა მოახდინოს მსოფლიო რევოლიუცია, დაამხოს კაპიტალიზმი და დაუმკვიდროს მუშა ხალხს სამოთხე დედა-მიწაზე. რა სამოთხის დამყარება შეუძლია იმას, ეს კიდევ დაამტკიცა: დანგრია და გაალატაკა მთელი რუსეთი და მოახდინა ფიზიკური და ხნეობრივი ვარყვნა და დეგრადაცია აუარებელი ხალხისა. საფრანგეთის ცნობილი მეცნიერი და ფილოსოფოსი ლე-ბონი ამბობს: «სოციალიზმი, ეს ისეთი წყველი მოძღვრებაა, რომ იმის სისულელეს ვერაფერი მსჯელობით და ლოლიკით ვერ დააპტკიცებთ. საჭიროა ექსპერიმენტი, საჭიროა, რომ რომელიმე ერმა სცადოს თავის თავზე ეს სოციალიზმი და მაშინ ყველა დაინახავს იმ უბედურებას, რაც იმაში იმალებაო». აი ეს სამსახური მართლა გაუწია რუსეთმა კაცობრიობას. რუსეთის ექსპერიმენტის შემდეგ ყველასათვის ნათელია, თუ რა უბედურებას წარმოადგენს ისეთი ლამაზი და თვალწარმტაცი იდეები, როგორიც არის «განთავისუფლება მუშა ხალხის» და «სამოთხის დამყარება». რუსეთის სამოთხე არის ნამდვილი ჯოჯოხეთი, სადაც არც თავისუფლებაა, არც ერთი მეორეს პატივისცემა, სადაც ყველა იწვის გაპირვებისა და მწუხარების ერთსა და იმავე ცეცხლში.

ამ გაპირვებულ და დამწუხულ ხალხს კომუნისტები უხსნიან და უქადაგებენ, რომ მთელი მისი



უბედურება კაპიტალიზმის ბრალია. აქ მათი ფრაზეოლოგია გადმოუცემელია. იგი ელავს, ჰქუხს, და სწავს, განსაკუთრებით მოუზნადებელ გონებას და დამშუულ კუჭს. გაკვირვებული და მწუხარე ხალხი აცეცებს ამღვრულ თვალებს დასავლეთის კორინთს. «იქ არის, ფიქრობს იგი, იქ არის ჩვენი მტერი—კაპიტალიზმი. იქ, ევროპაში, არხენად დროს ატარებენ ჩასუქებული ბურჟუები. იქ უნდა მივიტანოთ იერიში, დავანგრეთ ბუდე თუ სიმარგები ამ იურჟუაზიისა და ვისხნათ ქვეყნიერება მონობისაგანა!»

საცოდავი ხალხი! საცოდავი ოცნება!  
 თქვენა გგონიათ, რომ მოსკოვის დიქტატორებს არ გაეგებათ მთელი სიღრმე ამ სისულელი-სა?! ძალიან კარგათ გაეგებათ, ძალიან კარგად იციან, მაგრამ სამწუხაროდ უფრო კარგად იციან კაცობრიობის ისტორია. იციან, რომ იგი ადვილად სცდება და ადვილად მიჰყვება მირაჟებს. კარგად იციან, რომ კაცობრიობის ისტორია სავსეა განუწყვეტელი ბრძოლით ცრემლის ზღვითა და სისხლის ნაკადულებით ამ მირაჟების გამო... რა გასაკვირია, თუ ბოლშევიკები ხელოვნურად სარგებლობენ ხალხის ამ გულუბრყვილობით, ჰქმნიან მის ანთებულ გონების წინ ახალ მირაჟებს და მოუწოდებენ ყველას ამ «სამოთხისაკენ». ამბობენ, ესლანდელ რუსეთში ძალიან გახშირდა თავის მკვლელთა ბოლშევიკების შორის. ეს გასაგებია და მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ყოფილან პატიოსანი და გულწრფელი ბოლშევიკები, რომლებიც ვერ იტანენ ჩადენილ დანაშაულს და შექმნილ პასუხისმგებლობას. მაგრამ სამწუხაროდ აუარებელი უმრავლესობა—თავზე ხელაღებული ცინიკებია. შეგნებულად განაგრძობენ ხალხის მოტყუებას და ყვლეფას. განსაკუთრებულ პირობებში არიან ნამდვილი მეთაურები. მათი მდგომარეობა ტრადიკულია. უკან დახვეა იმათ არ შეუძლიანთ. უნდა განაგრძონ ბრძოლა ბოლომდე, სიკვდილამდე. ხალხს ხომ ვერ ეტყვიან: შევცდით, გვაპატიეთო! განა თვითონ ხალხი, ან ერთი ნაწილი მისი მაინც, დაიჯერებს ამისთანა განცხადებას, და განა მეორე ნაწილი, უფრო ძლიერი და საშიშარი, ისე ზრდილობიანად თავს დაუტრავს და ყველაფერს აპატიებს?! არა, ეს შეუძლებელია. ამიტომ ეს მეთაურები ლებულობდენ ყოველ ღონისძიებას რომ გადაიჩინონ თავი: აქეთკენა მიმართული მთელი მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა და მოქმედება. შინ—გეპე-უ-უ მისი ჩეკითა და საინკვიზიცია მოწყობილობით, გარედ—ბრძოლა ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების წინააღმდეგ. ერთად ერთი მათი ხსნა—გაგრძელება ამ ბრძოლისა, თუნდაც რომ იგი სრულებით უიმედო იყოს.

ეს არის პოზიცია რუსეთისა. ამას ბოლშევიკები არამც თუ არ მალავენ, ამაზე სწერენ, ლაპარაკობენ და ჰყვირიან. ხარჯავენ აუარებელ ფულს, ეწვიან დაუცხრომელ პროპაგანდას, აწყობენ მებრძოლ რაზმებს და აჯანყებენ მუშებს, რომ როგორმე გამოიწვიონ აქა თუ იქ რაიმე არეულობა და სახელმწიფოს სათავეში მოაქციონ თავისი მომხრენი. ყველგან ურახუნებენ თავის «ჩაქუჩს», რომ სადმე შეანგრიონ ის, კედელი რასაცა ჰქვიან თანამედროვე კულტურული წესწყობილება. მერე შეანგრის სადმე ეს კედელი? ვერა, ვერსად. უქმად ჩაიარა სოფიაში უმთავრესი ტაძრის აფეთქებამ, ესტონიაში სასირცხვილოდ გათავდა აჯანყების მოწყობა, ინგლისში ტყუილ-უბრალოდ გადაყრილ იქნა რამოდენიმე მილიონი მუშათა გაფიცვის გასაძლიერებლად... ყველგან მოსკოვის მთავრობა დამარცხდა და მისმა ვერაულომა მუშაობამ ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი. ინგლისში უკვე დადგა საკითხი ბოლშევიკურ მისიის იქიდან გამოდევნისა, საფრანგეთში უკვე ჩაიშალა მოლაპარაკება სესხის აღების შესახებ, ამერიკის კარები მაგრა ჩაკეტილია... და რუსეთი იხრაკება თავის წვენიში. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, იმას არ შეუძლია მოსვენება, მან უნდა განაგრძოს ბრძოლა.

ესლა გადავავლოთ თვალი ევროპას. რითი უპასუხებს იგი ბოლშევიკების სახიფათო მუშაობას.

არ იფიქროთ, რომ ევროპას ძალიან შეეშინდა და გონება დაეკარგა ამ ვითომდა დიდ საშიშროების წინაშე. მართალია, ევროპისათვის არ იყო სასურველი რუსეთის გამოთიშვა მსოფლიო ეკონომიკისაგან, მაგრამ თუ რუსეთს თვითონ მოედო სიგიჟე და თავდაყირა დაიწყო სიარული, რა უნდა ექნა ევროპას? ყოველ გიჟს დაბმა უნდა და ერთნაირი იზოლიაცია. ევროპამაც მიიღო ეს ზომა, მან შემოარტყა რუსეთს ჯაჭვი ახლად განთავისუფლებულ ერების—ფინეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის და პოლონეთისა—და ამ ნაირად აღუმართა ბოლშევიკურ ტალღებს ერთნაირი გადაუღებელი ზღუდე. მან გააძლიერა რუმინიაც ბესარაბიის შემოერთებით და შემდეგ, ლონანის კონფერენციაზე, ჩამოსწყვიტა რუსეთს შავი ზღვა. ამ კომბინაციაში ლოლიკურად უნდა შესულიყო საქართველოც, ისიც უნდა გამხდარიყო ერთი რგოლი რუსეთის ირგვლივ შემოართყვილი ჯაჭვისა, მაგრამ სამწუხაროდ ეს საკითხი, მოსკოვის ევრაგობის გამო, ჯერჯერობით გადაიდგა. მაგრამ იგი რიგზე დგას და არა მარტო საქართველო, არამედ საკითხი მთელი კავკასიისა.

ამის შემდეგ ევროპამ თითქმის მიანება თავი რუსეთს; ჰშველოდა ერთ დროს კოლიჩ-დენიკინ-ვრანგელს რუსეთში წესიერების აღსადგენად. მაგრამ აქაც მალე დაინახა, რომ ეს თეთრი მოძრაობა ვერავითარ წესიერებას ვერ დაამყარებდა: ეს მოძრაობა თვითონ იყო მიმართული ყოველ თავისუფლების წინააღმდეგ და მიხნადა ჰქონდა ძველი რუსეთის აღდგენა, და არა გამტკიცება საერთაშორისო მშვიდობიანობისა. ეს არავისთვის იყო ხელსაყრელი და ჩაიშალა კიდევ. ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ვაი ამ გამარჯვებას! შინაური ომი გათავდა და ამ გარემოებამ მაშინათვე მისცა ბოლშევიკურ მოძრაობას სახე და ხასიათი საერთაშორისო საკითხისა. ამ საერთაშორისო ასპარეზზე გამოდის უკვე არა პოლიტიკური პარტია, არამედ მთელი რუსეთი, როგორც კომუნისტური სახელმწიფო.

ამ გამოსვლას არ მოჰყოლია რაიმე მნიშვნელოვანი შედეგები. ევროპა ძველებურად განაგრძობდა თავის მუშაობას და ცდილობდა აღედგინა მეგობრული განწყობილება ერთა შორის. ეს დიდი და რთული საქმეა, განსაკუთრებით მსოფლიო ომის ქარიშხლის შემდეგ. მაინც მშვიდობიანობა თანდათან იკავფავს გზას. უმთავრესი ადგილი ამ მუშაობაში უჭირავს ინგლისს. მან უკვე დაუახლოვა გერმანია საფრანგეთს და მშვიდობიანობის შუქი მოჰქინა რეინის ნაპირებს. გერმანია შედის «ერთა ლიგაში» და ამ ნაირად ყველა ევროპის სახელმწიფოები უკვე დარაზმულნი არიან ერთ ფრონტში. მე ის კი არ მინდა ვთქვა, რომ ამით ისობა ყოველი უთანხმოება და სდგება ბედნიერი ხანა სამუდამოდ დამყარებული მშვიდობიანობისა. არა, ყოველ სახელმწიფოსა აქვს თავისი ინტერესი და ინტერესთა შეხლა-შემხლა ყოველთვის იქნება, მაგრამ ყოველ საერთო საკითხის წინ, რომელიც ერთნაირად შეეხება ყოველ განათლებულ სახელმწიფოს, ცხადია, ყველანი ერთად იქნებიან. სწორედ ასეთი საკითხია—კომუნისტური რუსეთი. მოსკოვის ბატონებს ეს ძალიან კარგადა აქვთ გათვალისწინებული და, რასაკვირველია, ერთა ლიგას ეპყრობიან დიდის მტრობითა და მძულვარებით. შეიტყეს თუ არა, რომ მზადდება ლოკარნოს ხელშეკრულება და გერმანია-საფრანგეთის მორიგება შესაძლებელი ხდება, მაშინადვე აფრინეს ბ. ჩიჩერინი ევროპაში ამ მზადების ჩასაშლელად. ჩიჩერინი იყო პოლონეთში, ბერლინში, პარიზში, ბევრი ეცადა, ბევრი იყილა, მაგრამ ვერა გააწყრა მართალია, პარიზში იმან დასდო ერთნაირი ხელშეკრულება ოსმალეთთან, შემდეგ მოახერხა კიდევ ამისთანავე ხელშეკრულების დადება გერმანიასთანაც, მაგრამ ყველა ამ «გამარჯვებას» ევროპის საერთო პოლიტიკისათვის არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. მართალია, რა არის უმთავრესი მუხლი ამ ხელშეკრულებათა? რუსეთი თხოულობს განსაკუთრებით ამ სახელმწიფოთა

ნეიტრალობას. რა საკვირველია, გერმანიამ და ოსმალეთმა ამის პირობა მისცეს. მაგრამ ეს ხელშეკრულება სრულებით ხელს არ უშლის არც ოსმალეთს, არც გერმანიას დაუახლოვდეს ევროპის საერთო პოლიტიკას და მის წარმოებაში მიიღოს მონაწილეობა. ეს იმით მტკიცდება, რომ ოსმალეთი უკვე შეურიგდა ინგლისს და მოსულის შესახებ დავა გაათავა მორიგებით, გერმანია კი იცავს ლოკარნოს ხელშეკრულებას და ესლა ერთა ლიგაში უჭირავს შესაფერი ადგილი.

არა ნაკლებ აღსანიშნავია პოლონეთის როლი. ერთ მხრივ პოლონეთს აწევდა შეურიგებელი რუსეთი, მეორე მხრივ, შეიძლება, ისევე შეურიგებელი, მაგრამ შეუდარებლად უფრო განათლებული გერმანია. პოლონეთი იძულებულია ამ ორი მეზობლისაგან აირჩიოს ერთ-ერთი, დაუახლოვდეს ან რუსეთს, ან გერმანიას. აი, ამ თვალსაზრისით არის მეტად საყურადღებო პილსუდსკის მიერ მოხდენილი გადატრიალება. პილსუდსკი შეურიგებელი მტერია რუსეთისა, იმან კარგად იცის და მთელი ისტორია ამტკიცებს, რომ რუსეთის აღდგენა და გაძლიერება ნიშნავს პოლონეთის დაღუპვას. ამიტომ იგი მომხრეა რუსეთის დაშლის და დამონებულ ერთა განთავისუფლებისა. ამიტომ, ჩვენი აზრით, იგი მიიღებს ყოველ ღონისძიებას დაუახლოვდეს გერმანიას, თუმცა ამავე დროს ხელუხლებელი უნდა დარჩეს მეგობრული განწყობილება საფრანგეთთან. ამისთანა პოლიტიკა ბუნებრივად რაზმავს ბალტიის რესპუბლიკებსაც. ამას კარგად გრძობს მოსკოვი და სცდილობს ჩაშალოს ეს ბუნებრივი მოძრაობა. ამიტომ ხდება ეს სასაცილო ამბავი: უშველებელი რუსეთი ეხვეწება ხან ერთს, ხან მეორე პაწაწინა სახელმწიფოს, როგორც არის ესტონეთი ან ლატვია—პირობა დაედოთ ერთმანეთს არ დავეცეთო! რა საკვირველია, რუსეთს იმის შიში კი არა აქვს, რომ ესტონეთი იმას დაეცემა და გაანადგურებს, იმას უნდა როგორმე ჩაშალოს ამ პატარა სახელმწიფოთა შეკავშირება და შეჯგუფება პოლონეთის ირგვლივ, რომ თითუთს ცალ-ცალკე მოუღოს შემდეგ ბოლო.

ეს არის უმთავრესი მომენტები: ერთა ლიგა, ლოკარნოს ხელშეკრულება, ოსმალეთთან მორიგება და პილსუდსკის გამარჯვება. თუ ჩავუკვირდებით ყველა ამ მოვლენათ, დავინახავთ, რომ ყველასა აქვს ერთი და იგივე აზრი—მშვიდობიანობის დამყარება საერთაშორისო განწყობილებაში. მშვიდობიანობა კი არის სწორედ ის ატმოსფერა, რომელშიაც ბოლშევიკური ბაცილა ვერა სცოცხლობს. მეორე აზრი ამ მოვლენათა ის არის, რომ ყველამ ზურგი უქცია რუსეთს და ყველას სახიფათოდ მიაჩნია მასთან დაახლოვება. ჯანმრთელი ეროვნული ორგანიზმი ვერ მიიღებს ბოლშევიკურ შხამს.

ჰდება იზოლიაცია რუსეთისა. კარები ყველგან ჩაკეტილია. სენი არავის გადაედება. თვით რუსეთის განკურნება იქნება მისი საბოლოოდ დაშლა ე. ი. განთავისუფლება ყველა დამონებულ ერებისა. საქირთა მხოლოდ, რომ თვით დამონებული ერი იყოს ფხიზელი და დარაჯად ედგეს თავის ინტერესებს.

X.

Rédaction et Administration:

M-r. R. GABACHVILI,

87, Rue du Cherché - midi 87.

Paris.

Le Gérant : VICTOR GAY.

Imprimerie « La Gazette de S.-et-O. » — Arpajon